ბრძანება № 903

" 17 " 08 2012

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში - სოციალური მედიის სფეროში სტაჟიორთა მიღებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

"ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ბ", "ვ", "კ" ქვეპუნქტების თანახმად:

1. გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში კონკურსი სტაჟიორთა მიღებაზე. კონკურსანტების შერჩევა მოხდეს 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე კონკურსანტების შერჩევა მოხდება მათ მიერ შევსებული სააპლიკაციო ფორმის შესაბამისად. მეორე ეტაპზე კანდიდატები შერჩეული იქნეს ზეპირი გასაუბრების (ინტერვიუს) გზით.

2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა დანართი №1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს კონკურსანტის სააპლიკაციო ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი განათლების მქონე პირებს (სასურველია ჰუმანიტარული განათლება, მარკეტინგისა ან საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით). კონკურსში მონაწილე კანდიდატისადმი ძირითადი მოთხოვნებია: შესაბამის სფეროში მინიმუმ ერთ წლიანი სამუშაო გამოცდილება; ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ფლობა და კომპიუტერთან მუშაობის უნარჩვევები.

5. კონკურსში მონაწილე სტაჟიორთა უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები:

- კომუნიკაბელურობა;
- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;
- პრეზენტაბელურობა;
- ორგანიზებულობა;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- აქტიურობა და ოპერატიულობა;
- ინიციატივის გამოჩენა;
- მაღალი მოტივაცია;
- გუნდური და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.

6. სტაჟიორთა ამოცანები და მოვალეობები:

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ.|+995 32| 72 22 22 ფაქს. |+995 32| 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

- სამსახურის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა, სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის/სიახლეების შეგროვება და მართვა სოციალური მედიის საშუალებით;
- სხვადასხვა ვებ-გვერდებზე ინფორმაციის მოძიება/მონიტორინგი და დამუშავება;
- სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის ადმინისტრირება;
- სოციალურ ქსელში სამსახურის გვერდის აწყობა, ინფორმაციის განთავსება, ადმინისტრირება და მონიტორინგი.

7. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები შეიძლება წარმოადგინონ როგორც ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მისამართზე stajiori@tbilisi.gov.ge ასევე ქ. თბილისის მერიის კანცელარიაში, მის. ჟ. შარტავას ქუჩა №7, I სართული – ოპერატორი № 12, 14, 15, სამუშაო საათებში 9:00 – 19:00 საათამდე.

8. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 20 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

9. გასაუბრების თარიღის შესახებ კანდიდატებს დამატებით ეცნობოს სააპლიკაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე და დაბარებული იქნენ ქალაქ თბილისის მერიის შენობაში (მის. ჟ. შარტავას ქუჩა №7) კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადების მიღების დასრულებიდან ორი კვირის ვადაში.

10. ის კანდიდატები, რომლებიც სამსახურში გასაუბრების შედეგად მიიღებიან სტაჟირებაზე გაივლიან სტაჟირების 2 თვიან კურსს. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელი იქნება სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე.

11. ეს ბრძანება საჯაროდ განთავსებულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე tas.ge

12. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოთ ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გელა ტალახაძეს და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს გიორგი ქემხაშვილს.

13. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი **არისი ბოჭოიძე**